# საქართველოს კანონი

## „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.11.2023, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.021096) პირველი მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები**

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, $43^1$–$44^3$, $44^5$, $44^7$–$44^{11}$, 45-ე–46-ე, $46^2$–$46^4$, $46^7$–$46^{11}$, 48-ე, 49-ე, $50^1$, 51-ე–$55^1$, $55^3$, $55^4$, 56-ე, 57-ე–59-ე, $59^3$–მე-60, $60^3$–$61^1$, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, $69^4$, $69^6$, 71-ე, $71^1$, $72^1$–77-ე, 78-ე და $79^1$–$79^3$ მუხლებით, $79^4$ მუხლით (გარდა ამ კოდექსის $79^4$ მუხლის მე-2–მე-5 ნაწილებისა), $79^5$–მე-80, $82^1$–$82^5$, 84-ე–86-ე, $87^1$–$89^3$, $91^2$, $91^3$, 94-ე, 95-ე, 99-ე, $100^1$, $100^2$, $103^1$, 104-ე და $105^1$ მუხლებით, $115^2$ მუხლის მე-3–მე-7 ნაწილებით, 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებით, $116^4$ მუხლის მე-2 ნაწილით, $116^5$ მუხლის მე-2 ნაწილით, $116^6$ მუხლის მე-2 ნაწილით, $116^7$ მუხლის მე-2 ნაწილით, $127^1$ მუხლის მე-5 ნაწილით, $128^1$–$128^6$, 143-ე, 144-ე, $144^{10}$, 145-ე და 150-ე მუხლებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 153-ე და $153^1$ მუხლებით, $153^3$ მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, $153^5$ მუხლით, $153^6$ მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–$154^2$, $155^1$ და $155^2$ მუხლებით, $155^3$ მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, $155^6$ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით, $155^7$–156-ე და $157^1$–$158^1$ მუხლებით, $158^5$ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, $159^4$–$159^{10}$, 163-ე, 164-ე, $164^4$, $165^1$–$165^3$, 166-ე და $166^1$ მუხლებით, $166^2$ მუხლის მე-2 ნაწილით, $170^1$ მუხლით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $171^2$–$171^4$ მუხლებით, $171^5$ მუხლის პირველი, მე-2, მე-4–მე-6, მე-8 და მე-9–მე-18 ნაწილებით, 172-ე, $172^4$–$172^6$, 173-ე, $173^4$–$173^7$, $173^9$ და $173^{14}$–$173^{16}$ მუხლებით, $174^1$ მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-8–მე-10 ნაწილებით, $174^{15}$ მუხლის მე-4 ნაწილით, $175^1$ და $175^2$ მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, $177^8$, $177^9$, $177^{11}$ და $177^{12}$ მუხლებით, $177^{13}$ მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის $4^1$ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, $179^1$–$179^3$, $181^6$, 183-ე, 187-ე, $187^1$, 189-ე, 192-ე, 195-ე, $196^3$, $196^6$ და $197^1$ მუხლებით, $197^3$ მუხლის მე-2 ნაწილითა და $199^1$ მუხლით, აგრეთვე საქმეებს ამ კოდექსის $208^1$ მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში.“.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **მიხეილ ყაველაშვილი**

**თბილისი,**

**16 ოქტომბერი 2025 წ.**